ხელშეკრულება № 78

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 12 თებერვალი 2018 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი "იკაროსი" (შემდგომში – შემსყიდველი), დირექტორის რუსუდან ჩართოლანის სახით და მეორეს მხრივ შპს "კლინტექ" (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი დირექტორის ვლადიმერ ჭელიძე სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი.

1.1 ხელშეკრულების საგანია საკუთარი შემოსავლები, საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია (CPV კოდი: 39800000) სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად., გამარტივებული შესყიდვის საშუალებით („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად).

1.2 ხელშეკრულების ობიექტია შემდეგი დასახელების საქონელი:

საქონლის დასახელება	დანაყოფის კოდი	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
SUMA GRILL D9 0.840 KG გრილის სარეცხი საშუალება	39831000	ცალი	18	16.38	294.84
Suma Inox D7 0.623kg უჟანგავი ზედაპირის პოლიროლი	39831000	ცალი	6	28.04	168.24
Superfoam VF3 22.2kg დანადგარების სარეცხი ხსნარი	39831000	ცალი	1	252.19	252.19
					715.27

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 715.27 (შვიდას თხუთმეტი ლარი და ოცდაშვიდი თეთრი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდული საქონლის ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი 2018 წლის 15 თებერვალს

4.3 მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზირი №4. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი "იკაროსი"-ს შენობა.

4.4 საქონლის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენას, კერძოდ, სასაქონლო ზედნადებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ უკანასკნელის მიერ საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 2018 წლის 12 მარტამდე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის (საქონლის) ხარისხი.

-მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს საქონლის შემოწმების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ.

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

-უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

-მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

-გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი დადების (გაფორმების) დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 12 აპრილამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამი თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს შესყიდული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს: შესყიდვების მენეჯერი ვლადიმერ კორღალიძე.

14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშერებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი "იკაროსი"
მისამართი : ქალაქი თბილისი გელოვანის N 4
"სახელმწიფო ხაზინა
კოდი ; 32030118
საიდენტიფიკაციო კოდი: 211351071
ტელეფონი: 577 900 401
ვებ-გვერდი: info@icarus.ge

მიმწოდებელი:

შპს "კლინტექ" მისამართი: იურიდ/ფაქტობრივი
საქართველო, ქ. თბილისი, ჩიტაძის № 6/505
იაშვილის ქ # 18
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი: UGEBGE22
ა/ა GE73VT1100055555555555
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 442 451
ტელეფონი: 2 92 22 02

დირექტორი: რ. ჩართოლანი _____

დირექტორი: ვ. ჭელიძე _____